საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 01

08 01 2016 წელი

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ შერჩეული პროექტების განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის სხდომის N1 ოქმის მეორე საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 იანვრის N03/64 წერილით შემოსული დოკუმენტაციისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების გათვალისწინებით

1. მოწონებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ შერჩეული პროექტები (თან ერთვის).
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა უზრუნველყოს განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI

2016 წლის მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგიონალური პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

N	პროექტის დასახელება	კატეგორია	გამოსაყოფი თანხა	შენიშვნა
1	სოფ. სადახლოს სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	წყალი	386,712.00	პროექტი მზადაა
2	სოფ.ახლოლალოში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა	წყალი	212,842.00	პროექტი მზადაა
3	სოფ.ზემო სარალში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა	წყალი	238,278.00	პროექტი მზადაა
4	სოფ. კასუმლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გზა	400,000.00	პროექტი მზადაა
5	სოფ. დამია-გეურარხის შიდა გზების რეაბილიტაცია	გზა	400,000.00	პროექტი მზადაა
6	სოფ. თამარისის შიდა გზების რეაბილიტაცია	გზა	500,000.00	პროექტი მზადაა
7	სოფ. თაქალოს შიდა გზების რეაბილიტაცია	გზა	400,000.00	მიმდინარეობს პროექტირება
8	სოფ. ყიზილაჯლოს შიდა გზების რეაბილიტაცია	გზა	800,000.00	მიმდინარეობს პროექტირება
9	სოფ. ქუთლიარის შიდა გზების რეაბილიტაცია	გზა	410,000.00	მიმდინარეობს პროექტირება
10	ქ. მარნეულში ცენტრალური სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	სპორტი	752,168.00	პროექტირების ტენდერი არ გამოცხადებულა
სულ ჯამი.			**4,500,000.00**	